ნასყიდობის ხელშეკრულება №

ქ. თბილისი ”------” --------2019 წელი

ერთის მხრივ, სს ”საქართველოს რკინიგზა” (საიდენტიფიკაციო №202886010), შემდგომში- ”გამყიდველი”, წარმომადგენელი მისი ინფრასტრუქტურის დირექტორი ვასილ ხორავას სახით და მეორეს მხრივ ---------- (საიდენტიფიკაციო ----------), შემდგომში ”მყიდველი”, წარმომადგენელი მისი ----------

სს ”საქართველოს რიკინიგზის” დირექტორთა საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №4/15 დადგენილების, სს ”საქართველოს რკინიგზის” სამეთვალყურეო საბჭოს 2019 წლის 25 ივნისის № 5 სხდომის ოქმის (საკითხი 3) , სს საქართველოს რკინიგზის“-ს მიერ 2019 წელს (დაწყების თარიღი--------- დამთავრების თარიღი--------) გამოცხადებული №------- ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) შედეგების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სს”საქართველოს რკინიგზის” მიერ ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) წესით ფერადი ლითონის ჯართის (სახეობა: ალუმინი, სპილენძი, თითბერი, ტყვია და აკუმულატორის ტყვია) რეალიზება.

ლოტის №, განთავსების ადგილი, სტრუქტურული ერთეულის დასახელება და რაოდენობა (±10%):

1.2. ნასყიდობის ხელშეკრულებით ”გამყიდველი” გადასცემს ”მყიდველს” საკუთრების უფლებას ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ ქონებაზე.

1.3. ”მყიდველისთვის” ნასყიდობის საგნის გადაცემა მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც დადასტურდება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ.

2.ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს (ელექტრონულ აუქციონზე "მყიდველის" მიერ ლოტზე/ლოტებზე დაფიქსირებული საბოლოო თანხა)

2.2 ნასყიდობის საგანი განთავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლებით.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. "მყიდველი" ვალდებულია 2.1 პუნქტში აღნიშნული თანხა ---------- ლარი "ბე-ს" თანხის (საგარანტიო თანხა) - ---------- ლარის გამოკლებით, ჩარიცხოს სს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანაგარიშზე: ს.ს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: **BAGAGE22;** ანგარიშის ნომერი: **GE03BG0000000859804100,** აუქციონის დასრულებიდან - 20 კალენდარულ დღეში, არაუგვიანეს 2019 წლის ----------;

3.2. საბოლოო ანგარიშსწორება "მყიდველსა" და "გამყიდველს" შორის განხორციელდება სს "საქართველოს რკინიგზის" მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში. კერძოდ, თუ ალუმინის, სპილენძის, თითბერის, ტყვიის და აკუმულატორის ტყვიის აწონვის შედეგად დადგინდა ხელშეკრულებით განსაზღვრულზე მეტი ან ნაკლები ოდენობა, "მყიდველი" "გამყიდველს" ("გამყიდველი"-"მყიდველს") გადაუხდის თანხას სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად (დანართი 1,2,3,4 -ის შესაბამისად);

3.3 "მყიდველის" მიერ გადახდილი "ბე"-ს თანხა (საგარანტიო თანხა) ---------- ლარი ჩაითვლება გასაყიდი ქონების ფასში საბოლოო ანგარიშსწორებისას;

3.4. თუ "მყიდველი" არაუგვიანეს 2019 წლის ---------- არ გადაიხდის ნასყიდობის საგნის დარჩენილ ღირებულებას - ---------- ლარს №------- ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) შედეგები უქმდება და "მყიდველს" არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და არ დაუბრუნდება გადახდილი "ბე"-ს თანხა (საგარანტიო თანხა) - ---------- ლარი.

3.5. ”მყიდველის” მიერ ხელშეკრულების 3.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების არადროული ან არაჯეროვანი შესრულებისას, ”მყიდველს” დაერიცხება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4. ნასყიდობის საგნის გატანის ხარჯები

4.1. ”მყიდველი” საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით შეძენილი ქონების (ალუმინი, სპილენძი, თითბერი, ტყვია და აკუმულატორის ტყვი) აწონვას,დატვირთვა-გადმოტვირთვასა და ტრანსპორტირებას.

4.2. ”მყიდველი” ვალდებულია ქონების გატანის პროცესში უზრუნველყოს ჯართის აწონვა, სერტიფიცირებულ სასწორზე, სს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენლის თანდასწრებით;

5. საკუთრების უფლების გადასვლა

5.1. შეძენილ ქონებაზე ”მყიდველი” საკუთრების უფლებას იძენს ხელშეკრულების საერთო ღირებულების სრულად გადახდისა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.2. ,,გამყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია კომისია, რომელიც შეიქმნება შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

6. მხარეთა მოვალეობები

6.1. ”გამყიდველი” ვალდებულია ”მყიდველს” გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტში განსაზღვრული ქონება;

6.2. ”მყიდველი ” ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 4 თვის ვადაში სრულად უზრუნველყოს შეძენილი ქონების გატანა ”გამყიდველის” ტერიტორიიდან;

6.3. ხელშეკრულების 6.2 პუნქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში,”მყიდველს” დაეკისრება პირგასამტეხლო, აუთვისებელი ჯართის ღირებულების 0.05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4. ”გამყიდველი” უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%.

7.დავის გადაწყვეტა

7.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან შეთანხმების გზით;

7.2 . შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

8.ხელშეკრულების შეცვლა

8.1. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა დაიშვება მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმებით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

10. სხვა პირობები

10.1. თითოეული მხარე ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების დაცვა;

10.2. ხელშეკრულების განსაზღვრული პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აქ არ იგულისხმება ხელშეკრულების საგნის ფაქტიურ ოდენობასთან დაკავშირებული პირობა;

10.3. ხელშეკრულების ადმინისტრატორები განისაზღვრნონ სს ,,საქართველოს რკინიგზის“ ინფრასტრუქტურის დირექტორის 2016 წლის 27 ნოემბრის N 1698 ბრძანების შესაბამისად;

10.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა;

10.5. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რაც გაფორმებული უნდა იქნას წერილობით.

მხარეთა რეკვიზიტები

”გამყიდველი” **”მყიდველი”**

სს ”საქართველოს რკინიგზა”

ს/კ 202886010

მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15

ს.ს ”საქართველოს ბანკი”

ბანკის კოდი: BAGAGE22;

ანგარიშის ნომერი:

GE03BG0000000859804100

---------- /ვ.ხორავა / ----------/----------/